კვლავ იტალიური ბარიერი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 15 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ნაპოლი" (ნეაპოლი) 2:1 (2:1).

"დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი (ანდღულაძე), მუჯირი (ჯოხაძე), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი, ცავა, შენგელია.

"ნაპოლი": კასტელინი, ბრუსკოლოტი, ფერარიო, მარინო (ამოდიო), კროლი, ჩელესტინი, ვინაცანი, დალ ფიუმე, დიასი, კრისჩიმანი, პელეგრინი.

გოლები: ხიზანიშვილი (მე-6 წ.), დიასი (19), შენგელია (32).

მსაჯი: რ. ვალენტაინი (შოტლანდია).

გააფრთხილეს: ჩელესტნი, ვინაცანი, დალ ფიუმე, ცავა.

თითქოს თბილისელთა ნერვებს ცდისო, ფორტუნამ უკვე მესამედ შემოგვთავაზა ნაცნობი სიუჟეტი - ევროპული საკლუბო ტურნირი ჩვენთვის ისევ იტალიური ბარიერით დაიწყო.

მიუხედავად ნაცნობი სიტუაციისა და ასევე ნაცნობი მეტოქისა, წინასწარ რაიმე გარკვეულის თქმა მაინც ჭირდა. ძნელი იყო შეფასება გუნდისა, რომელმაც ამ ოთხი წლის მანძილზე საფუძვლიანად იცვალა სახე და რომელსაც "ცისფერთა" მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, გინდა თუ არ გინდა, მაინც გამორჩეული დამღა ადევს. და საერთოდ, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ უეფა-ს თასის გათამაშებაში ხელწამოსაკრავი გუნდები არ მონაწილეობენ.

თამაშის წინ გადავათვალიერე ოთხი წლის წინანდელი მატჩის მასალები. პირველი, რაც თვალში მეცა, სტუმრების პესიმისტური განწყობილება იყო.

არ ვიცი, ესპანურმა ტრიუმფმა თუ დღევანდელი "ნაპოლისადმი" რწმენამ განაპირობა, ეს კი იყო, იტალიელი ჟურნალისტები ფეხის ყოველ ნაბიჯზე იმეორებდნენ, სასურველ ფრეს უთუოდ მოვაღწევთო.

"ნაპოლი" არც მაინცდამაინც ძლიერი გამოდგა და ვერც სანატრელ ფრეს მიაღწიეს სტუმრებმა, მაგრამ ბევრი თავსატეხი კი გაგვიჩინეს საპასუხო მატჩისთვის. ბარემ ახლავე ვთქვათ, რომ ეს პრობლემაც სიტუაციათა შემთხვევითი თავმოყრის გამო უფრო გაჩნდა - მატჩი უეჭველად სხვაგვარად წარიმართებოდა, მე-10 წუთზე ხინჩაგაშვილი რომ არ დაშავებულიყო. თუმცა, მივყვეთ თავიდან.

იტალიელთა მთავარ მწვრთნელს ყველა საჭირო ინფორმაცია მზამზარეული დახვდა თბილისში. ამიტომ გასაკვირიც არ იყო, რომ შენგელიასა და ცავას მატჩის პირველი წუთიდანვე ფერარიოსა და ჩელესტინის სახით "საკუთარი" მცველები გაუჩნდათ. ორივე დინამოელმა, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში, აშკარად დაჩაგრა თავ-თავისი მეურვე. და თუ ეს ფაქტი გამოცდილი ფორვარდისთვის ასე თუ ისე ჩვეული რამეა, ახალგაზრდა სპორტსმენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირნათლად ჩააბარა პირველი სერიოზული გამოცდა.

მე-5 წუთზე მესხი-შენგელიას კომბინაციის შემდეგ ძელიდან ასხლეტილ ბურთს მიუსწრო ხიზანიშვილმა - 1:0.

თბილისელები განაგრძობენ იერიშს. მინდვრის ცენტრში ფაქტიურად უსაქმოდ დგანან დიასი და პელეგრინი.

მიმდინარეობდა მატჩის მე-19 წუთი. დიასმა თბილისელთა საჯარიმოდან კარგა მოშორებით მიიღო ბურთი, მოულოდნელად შემობრუნდა და დარტყმაც ასეთივე მოულოდნელი და ზუსტი გამოდგა - 1:1.

ერთხანს "დინამოს" თამაშს ბზარი დაეტყო. მერე ისევ ჩივაძემ მისცა ტონი თანაგუნდელებს. კაპიტანს სხვებიც აჰყვნენ და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები აუცილებლად მოიგებდნენ მატჩს, თანაც სასურველი ანგარიშით, თუმცა ჯერ დაწინაურება იყო საჭირო.

32-ე წუთი. "დინამოს" მორიგი იერიშის დროს იტალიელმა მცველებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა სცადეს. ჩივაძემ ოსტატურად შეაყოვნა იერიში, მერე კი გათამაშდა კომბინაცია (ანდღულაძე-შენგელია), რომელიც მეორე გოლით დასრულდა - 2:1.

42-ე წუთზე დიასმა ისევ "გაიღვიძა" - გამეორდა ზუსტი და მოულოდნელი დარტყმა. გაბელიამ თავგანწირული ნახტომით გადაარჩინა კარი.

მეორე ტაიმში, სტუმრებს რამდენადმე სერიოზული უპირატესობისთვის არ მიუღწევიათ, მაგრამ სამწუხაროდ ვერც "დინამომ" შეძლო მეტის გაკეთება. კიდევ ერთმა ცვლილებამაც არაფერი მისცა თბილისელებს და ახლა ყველაფერს ალბათ საპასუხო თამაში გადაწყვეტს. საერთოდ კი, გუშინდელი,

კონკრეტული მატჩიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ქართველი ფეხბურთელები კვლავ წარმატებით, ახლა უკვე მესამედ გადალახავენ იტალიურ დაბრკოლებას.

მატჩის შემდეგ

"ნაპოლის" მთავარი მწვრთნელი მასიმო ჯაკომინი გასახდელში იტალიელი და საბჭოთა კორესპონდენტების მჭიდრო "ალყაში მოექცა და ხალისით პასუხობდა კითხვებზე, კერძოდ მან თქვა:

– ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით – არა. საქმე ის იყო, რომ ჩვენ მეტოქის მინდორზე გამოვდიოდით, რამაც თავიდან ერთგვარად შებოჭა ნაპოლელები, რომლებიც, საერთოდ, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. ამჯერად კი, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრმა, დასაწყისში საგრძნობი დაღი დაასვა ჩვენს გამოსვლას. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა პირველ ტაიმში, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც – ორი გოლი გავუშვით. შესვენების შემდეგ შევძელით თავი დაგვეღწია შებოჭილობისაგან და თამაშიც გამოგვივიდა.

კითხვაზე – ვინ მოგეწონათ მეტოქეთაგან? – მწვრთნელმა განაცხადა:

– განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩივაძე, დარასელია, შენგელია, ცავა, მესხი, რომლებიც საერთშორისო კლასის ფეხბურთელები არიან.

რაც შეეხება ნაპოლელებს, დღეს გამოირჩეოდნენ ბრუსკოლოტი, კროლი, დიასი, ფერარიო. განსაკუთრებით მინდა ვთქვა ამ უკანასკნელზე, რომელსაც თავიდან არ გამოსდიოდა თამაში, ვინაიდან შენგელიას წინააღმდეგ უწევდა გამოსვლა, შემდეგ კი, კარგად გაართვა თავი ამოცანას. მოწონება დაიმსახურა ნახევარდაცვამ. ამ ხაზმა ყოველგვარი ეფექტურობის გარეშე, ძალზე სასარგებლოდ ითამაშა.

– რას იტყვით "დინამოს" შესახებ?

– ჩვენთვის დინამოელთა თამაში აღმოჩენა არ ყოფილა. ამ გუნდის შესახებ ყველაფერი წინასწარ ვიცოდით. სიახლე იყო ჯოხაძის გამოსვლა, რომელიც მინდორზე მცველად შემოვიდა, ფაქტიურად კი ნახევარდაცვაში თამაშობდა.

– როგორი განწყობილებით მიემგზავრებით შინ?

– მთავარი ისაა, რომ მეტოქის მოედანზე გოლი გავიტანეთ, ეს ბევრს ნიშნავს.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 16 სექტემბერი, 1982 წ.